დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის N6 სხდომასა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის N3 სხდომაზე

მკვლევართა სამსახურში მიღების წესი

1.ზოგადი დებულებები

1.1.უნივერსიტეტის კვლევითი პერსონალი შედგება მკვლევარებისაგან.

მკვლევარების შემადგენლობას მიეკუთვნება მკვლევარი, ასოცირებული მკვლევარი და ასისტენტ მკვლევარი.

1.2. მკვლევარები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სამეცნიერო კვლევებს და თუ ეს შრომითი

ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, აგრეთვე მონაწილეობენ სასწავლო პროცესის წარმართვაში.

1.3. მკვლევართა სამსახურში მიღება ხორციელდება ორი გზით:

ა)ღია კონკურსის წესით;

ბ) ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით;

2. ღია კონკურსის წესით მკვლევართა სამსახურში მიღება

2.1.ინსტიტუტის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კვლევითი პროექტის ფარგლებში მკვლევართა ღია კონკურსის წესით შერჩევის საკითხზე.

2.2. ინსტიტუტის დირექტორი უფლებამოსილ პირებთან შეთანხმებით განსაზღვრავს საკონკურსო პირობებსა და მკვლევართა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

2.3.ფაკულტეტის დეკანის და ინსტიტუტის დირექტორის გადაწყვეტილება კონკურსის გამოცხადების თაობაზე და საკონკურსო პირობები, ასევე მკვლევართა პერსონალის ზრდის აუცილებლობის დასაბუთება ეგზავნება რექტორს კონკურსის გამოცხადების თხოვნით;

2.4.რექტორი იღებს გადაწეყვეტილებას კონკურსის გამოცხადების შესახებ და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, სადაც ასევე განისაზღვრება საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.

2.5.კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებას ორგანიზებას უკეთებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

2.6.კონკურსი შესაძლოა მოიცავდეს ტესტირებას, საბუთების განხილვას, ინტერვიუს და.ა.შ ეტაპებს იმის შესაბამისად, თუ რა იქნება განსაზღვრული საკონკურსო პირობებში.

2.7.გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ იღებს საკონკურსო კომისია.

3. ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით მკვლევართა სამსახურში მიღება

3.1. ინსტიტუტის დირექტორს აქვს უფლება წარადგინოს მკვლევართა კანდიდატურები სამსახურში მიღების მიზნით, ღია კონკურსის გარეშე.

3.2. ინსტიტუტის დირექტორის წარდგინება მკვლევართა პერსონალის სამსახურში მიღებაზე უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტაციას დამატებითი რესურსის მიღების აუცილებლობის შესახებ.

3.3. ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით მკვლევართა სამსახურში მიღების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება კანდიდატურა და მისი კვალიფიკაცია და კომპეტენციები შესაბამისობაში უნდა იყოს კვლევითი პროექტით გათვალისწინებულ მიზნებთან.

3.4. ფაკულტეტის/სკოლის დეკანისა და ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით მკვლევართა სამსახურში მიღებაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.